დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების - სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ირმა მეგრელიძე
წევრები:
დემიდ ფასიეშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლა**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **246755738**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

■ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

■ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლაში მიერ სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის მიზნით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 04 ივნისის N668623 ბრძანებით შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა, შემადგენლობა -ირმა მეგრელიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე); დემიდ ფასიეშვილი - დარგის ექსპერტი (წევრი), 2026 წლის 26 ივნისს განახორციელა ადმინისტრაციული წარმოება სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლაში, (მისამართი: დაბა ქედა, წერეთლის ქ. N4). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულებისა და დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის შემოწმების და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - "Front-End დეველოპმენტი" დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ზემოხსენებულ ბრძანებას, სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, სკოლაში განხორციელებული ბოლო ვიზიტის დასკვნასა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებას. 2026 წლის 17 ივნისს ონლაინ პლატფორმის მეშვეობით შედგა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ვიზიტის დღის წესრიგის პროექტი. დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობის დადასტურებისათვის სკოლის მიერ წარმოსადგენი მტკიცებულებების/ დოკუმენტების ნუსხა, ინტერვიურების სრულფასოვნად წარმართვის მიზნით კითხვების ჩამონათვალი და ჯგუფის წევრს გადაუნაწილა ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგებსა და ძირითად მიგნებებზე, რომლის მიხედვითაც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ვიზიტის დღის წესრიგი (იხ. დანართი N1) და დაიგეგმა ვიზიტთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები. 2026 წლის 26 ივნისს ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი სკოლაში. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით დაწესებულების პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, გაესაუბრა კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალს, პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა სკოლის ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო, სრულად იქნა შესწავლილი კოლეჯის მიერ ძირითადი და დამხმარე პროცესების დაგეგმვა-ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები და წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტი. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ვითარებაში, ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ჯგუფის წევრთან ერთად დაწესებულებას წარუდგინა პრეზენტაცია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეჯერებული მიგნებების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
Front-end დეველოპმენტი	30	10	0	0

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის მე-4 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
4) ადამიანური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
FRONT-END დეველოპმენტი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ვიზიტის პერიოდში ხარვეზი არ გამოვლენილა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ვიზიტის პერიოდში სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ვიზიტის პერიოდში განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა არგუმენტირებული პოზიცია.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. დაწესებულებას წინარე შრომითი ხელშეკრულებებით ჰყავს აყვანილი 5 ადმინისტრაციული და 12 განმახორციელებელი პირი, მათ შორისაა 1 ხარისხის მართვის მენეჯერი, 1 სასწავლო პროცესის კოორდინატორი, 1 შესყიდვების სპეციალისტი, 1 რეესტრზე პასუხისმგებელი პირი, 1 პროგრამის ხელმძღვანელი. დაწესებულებას დაკავებული ყავს 10 ინტეგრირებული მოდულის და 2 დარგობრივი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროგრამის ხელმძღვანელი ამავდროულად არის დარგობრივი მოდულების განმახორციელებელიც. დაწესებულებამ წარმოადგინა ამ პირების ფუნქცია-მოვალეობები - სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 26 ივნისის N01-03/31 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“. ექსპერტთა ჯგუფმა შეფასა სამუშაო აღწერილობები, ადმინისტრაციულ პერსონალს და პროგრამის ხელმძღვანელს მათი კვალიფიკაციის ფარგლებში გადანაწილებული აქვთ ფუნქციები, მაგალითად ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციებია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის მონიტორინგი, თვითშეფასების ანგარიშის მომზადება, მონიტორინგის შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და სხვა. სასწავლო პროცესის კოორდინატორის ფუნქციებია მიმდინარე სასწავლო პროცესის კოორდინირება, პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის უზრუნველყოფა (კონსულტაცია) მისი აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით და სხვა. პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, ხელმძღვანელობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესს, შეადგენს პროფესიული განათლების მასწავლებლების ინდივიდუალური დატვირთვის ფორმებს. პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, ხელმძღვანელობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესს, შეადგენს პროფესიული განათლების მასწავლებლების ინდივიდუალური დატვირთვის ფორმებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და დასაქმებულებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ სკოლის პერსონალის გააზრებული აქვთ მათი ფუნქციები. დოკუმენტებში მკაფიოდ არის განსაზღვრული პირების ფუნქციები, რაც დაეხმარება დაწესებულებას საჭიროების შემთხვევაში ეფექტურად წარმართოს სასწავლო პროცესი. დაწესებულებამ მონიტორინგის პროცესში აქვს განახლებული სკოლის სტრუქტურა, რაც იძლევა საშუალებას სრულყოფილად შეფასდეს ინდიკატორის მოთხოვნები. პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული განათლების კოორდინატორი პირდაპირ დაქვემდებარებაშია დირექტორთან, ასევე, დირექტორს ექვემდებარება პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, შემდგომში მოდის პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი და ბოლოს, პროფესიული განათლების მასწავლებელი. ადმისნისტრაციის წევრებმა გაიარა პროფესიული უნარების სააგენტოს ტრენინგი „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვისა და მართვის სტრატეგიები და მექანიზმები“.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 4.1.1.1 მოთხოვნა პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული -შესაბამისობაშია;

2. **პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზსდ-ს დასაქმებულ პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს შეუწყობს დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას. დაწესებულებას შრომითი ხელშეკრულებებით ჰყავს დაკავებული 5 ადმინისტრაციული და 12 განმახორციელებელი პირი, მათ შორისაა 1 ხარისხის მართვის მენეჯერი, 1 სასწავლო პროცესის მენეჯერი, 1 შესყიდვების სპეციალისტი და 1 პროგრამის ხელმძღვანელი. რეესტრი. დაწესებულებას დაკავებული ყავს 10 ინტეგრირებული მოდულის და 2 დარგობრივი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროგრამის ხელმძღვანელი ამავდროულად არის დარგობრივი მოდულების განმახორციელებელიც. ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციები შეთავსებული აქვს მათემატიკის მასწავლებელს, რომლის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 19 საათს. სასწავლო პროცესის კოორდინატორი ამავდროულად არის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, რომელის კვირეული დატვირთვაა 18 საათია. ზსდს დირექტორი არჩეულია პირველი ვადით, სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 16 ოქტომბრის მე-5 სხდომის ოქმის საფუძველზე (ხელშეკრულება N01, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე ზაალ ბერიძე). დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ფუნქცია-მოვალეობები მკაფიოდ ავლებს ზღვარს დასაქმებულთა საქმიანობებს შორის. დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კადრები იცნობენ მათ ფუნქციებს, მზად არიან საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელონ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ეცნობიან და სწავლობენ მათთვის ახალი საგანმანათლებლო საფეხურის სპეციფიკას, რაც ხელს შეუწყობს ზსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის 4.1.1.2 მოთხოვნა -პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას დაკმაყოფილებულია.

3. **ზსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.** დაწესებულების ექსპერტთა მხრიდან შემოწმდა ხარისხის მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობები, დაწესებულების მიერ შემუშავებული მარეგულირებელი დებულებით და განხორციელდა ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან გასაუბრება, რის საფუძველზეც არ გამოიკვეთა ინტერესთა კონფლიქტი ხარისხის მენეჯერის ფუნქციებთან. კერძოდ: ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ფუნქციაა შეფასების პროცესის ვერიფიკაციის განხორციელება, ხოლო მარეგულირებელი დებულების 39.24 ქვეპუნქტის შესაბამისად ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას კი ახორციელებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში არ შედის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. მონიტორინგის პერიოდისათვის ვერიფიკაციის პროცესი დაწესებულებაში არაა დაწყებული, რადგან ჯერ არაა დასრულებული მოდულების შესაბამისად შეფასების პროცესები.

ამგვარად ინდიკატორის 4.1.1.3 მოთხოვნა - პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დასაქმებულის ფუნქციები;
- წესდება;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ზსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და მის მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის (დამტკიცებული სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ 2026 წლის 26 ივნისის სხდომის ოქმის საფუძველზე, თავმჯდომარე ზაალ ბერიძე) შესაბამისად.** სამუშაო დრო შინაგანაწესით დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ორშაბათი-პარასკევის ჩათვლით, 09:00 საათიდან 18:00 საათამდე, ხოლო 14:00-15:00 საათი განსაზღვრულია შესვენების დროდ. შესვენების დრო არ ითვლება სამუშაო დროში, სკოლა მუშაობს ერთ ცვლაში. მასწავლებლების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 25 საათს. ზსდ კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად აღრიცხავს დასაქმებულის სამუშაო დროს შესაბამისი ჟურნალის საშუალებით. შინაგანაწესით ზსდ-ს განსაზღვრული აქვს შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი, შინაგანაწესით განსაზღვრულია დასვენების დღეები, რომლებიც განისაზღვრება საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი ოფიციალური დასვენების დღეების შესაბამისად. შინაგანაწესით განსაზღვრულია ასევე შვებულებით სარგებლობის წესი (24 სამუშაო დღე ანაზღაურებადი შვებულება, ხოლო მინიმუმ 15 კალენდარული დღე არაანაზღაურებადი შვებულება). შინაგანაწესით განსაზღვრულია პერსონალის წახალისებისა და დისციპლინური წარმოების წესიც. დასაქმებულებთან ინტერვიუს შედეგად, გამოიკვეთა, რომ დასაქმებულები იცნობენ შინაგანაწესს, იციან მათი უფლებები. შინაგანაწესში თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა თაობაზე მარეგულირებელი საკითხები გამიჯვნულია. სკოლას შინაგანაწესით აქვს განსაზღვრული საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული არსებითი პირობა: ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ოდენობისა და გაცემის წესის შესახებ. დაწესებულებამ წინა ექსპერთთ ჯგუფის რეკომენდაციის გათვალისწინებით გადახედა შინაგანაწესს, განახორციელა დოკუმენტში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული განათლებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკის ინკორპორირება, განსაზღვრა იმ მასწავლებლების მაქსიმალური კვირეული სამუშაო დატვირთვა, რომლებიც ითავსებენ ადმინისტრაციულ პოზიციებს (მაგალითად შეზღუდა ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერისა და სასწავლო პროცესის მენეჯერის მასწავლებლის კვირეული დატვირთვა იმგვარად, რომ ამ პოზიციაზე დასაქმებულმა პირებმა მოახერხონ თავიანთი ადმინისტრაციული ფუნქცია-მოვალეობების სრულყოფილად განხორციელება). ზემოაღნიშნული ცვლილებების განხორციელება დაწესებულებამ უზრუნველყო.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის 4.1.2.1 მოთხოვნა - ზსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისადდაკმაყოფილებულია

2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

ზსდ-ს პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა (დამტკიცებული დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის MES 9 25 0001-03/34 ბრძანებით) ითვალისწინებს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კერძოდ, პოლიტიკის მე-6 მუხლით ზსდ-ში პერსონალის შერჩევის დაგეგმარების პროცესის დაწყების წინაპირობას წარმოადგენს მოცემულ მომენტში ზსდში წარმოქმნილი საკადრო დეფიციტი, ახალი პერსონალის დაქირავების აუცილებლობა, პერსონალის შეფასების შედეგები. დაწესებულება კადრის შერჩევის მიზნით განსაზღვრავს ორ გზას: (1) ვაკანსიის მოთხოვნის დაკმაყოფილება არსებული საკადრო ბაზიდან და (2) ღია კონკურსის გამოცხადებით, რაც გულისხმობს საკადრო მოთხოვნის სპეციფიკიდან გამომდინარე გარე რესურსის მოზიდვას. ღია კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში ზსდ ვაკანსიას აცხადებს მასწავლებელთა ვაკანსიების ვებ გვერდზე. კადრის შერჩევის მიზნით ზსდ-მ შესაძლოა გამოიყენოს შესარჩევი მეთოდიკის ფართო სპექტრი - გასაუბრება, ტესტირება, კონკურსი და სხვა. აღნიშნული რეგულაცია უზრუნველყოფს დაწესებულებაში კვალიფიციური კადრების მოზიდვას ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 4.1.2.2 მოთხოვნა - ზსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით დაკმაყოფილებულია.

3. **ზსდ-ში პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.** ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა ზსდ-ს მიერ ადგილზე წარმოდგენილი პერსონალის პირადი საქმეები. დაწესებულებას მის მიერ დამტკიცებულ ფუნქცია-მოვალეობებში (დამტკიცებული დირექტორის 2026 წლის 26 ივნისის N01-03/31 ბრძანებით) განსაზღვრავს, რომ ხარისხის მართვის მენეჯერს უნდა ჰქონდეს მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელს სამუშაო გამოცდილება დარგის მიმართულებით. ხარისხის მართვის მენეჯერის პირადი საქმის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ ხარისხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მართვის მენეჯერს აქვს მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი, რაც დასტურდებოდა წარმოდგენილი დიპლომის ასლით. ხარისხის მართვის მენეჯერის კვალიფიკაცია ასევე დადასტურდ კომპეტენციის სერტიფიკატებით, თუმცა შერჩეულ კადრს არ აქვს ამ მიმართულებით მუშაობის გამოცდილება, მისთვის ახალია სფერო, მაგრამ მასთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ხარისხის მართვის მენეჯერს აქვს მზაობა ისწავლოს და განახორციელოს ახალი სპეციფიკური საქმიანობა. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმისა და მასთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მას აქვს პრაქტიკული გამოცდილება და დადასტურებული კვალიფიკაცია. ექსპერტთა ჯგუფი კვალიფიკაციის დადასტურებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მზაობის დადგენის მიზნით გაესაუბრა ინტეგრირებული და დარგობრივი მოდულების განმახორციელებლებს. გასაუბრების პროცესში მასწავლებლები საუბრობდნენ სასწავლო პროცესზე, გამოიკვეთა მათი მზაობა განახორციელონ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა. ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებს აქვთ სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება და უფროსი მასწავლებლის წოდება, ისინი ძალიან არიან დაინტერესებულები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით და ემზადებიან ინტეგრირებული მოდებულების განსახორციელებლად მათი ყველა ნიუანსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით. დარგობრივი მოდულების განმახორციელებლები არიან პრაქტიკოსები. დაწესებულებას კადრები გადანაწილებული ყავს მოდულების მიხედვით იმგვარად, რომ მასწავლებლების სამუშაო დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით დადგენილ ნორმირებულ სამუშაო დროს. ამის გათვალისწინებით, წარმოდგენილი კადრების კვალიფიკაცია, ცოდნა, გამოცდილება და მზაობა ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შეფასდა დადებითად და

ინდიკატორის 4.1.2.3 მოთხოვნა -პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას დაკმაყოფილებულია.

4. **დაწესებულების პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა (დამტკიცებული დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის MES 9 25 0001-03/34 ბრძანებით), რომელიც ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: დამსახურებებზე დაფუძნებული მიდგომა, სამართლიანობა, თანასწორობა, თანაბარი შესაძლებლობები, მიზანშეწონილობა, გამჭვირვალობა, პროფესიული განვითარება, მონაწილეობის პრინციპი, ორიენტაცია. დაწესებულების ღირებულებებს წარმოადგენს კოლეგიალობა და გუნდური მუშაობა, სამართლიანობა და თანასწორობა, პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობა. ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტის ფარგლებში საშუალება ჰქონდა დაკვირვებოდა სამუშაო პროცესს და გასაუბრებოდა პერსონალს. აქედან გამომდინარე, გამოიკვეთა, რომ დასაქმებულები თავიანთ ფუნქციებს ასრულებენ მაღალი პასუხისმგებლობით და ერთმანეთთან კოორდინირებულად. დასაქმებულები მუშაობენ გუნდურად და მოქმედებენ ურთიერთპატივისცემით.

შესაბამისად, ინდიკატორის 4.1.2.4 მოთხოვნა - დაწესებულების პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პერსონალის სამუშაო აღწერილობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- წინარე ხელშეკრულებები;
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები/ cv/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი/სერტიფიკატები;
- შინაგანაწესი;
- პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	Front-end დეველოპმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0611
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	დაბა ქედა, წერეთლის ქ N4
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	იმიტირებულ გარემოში
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	30
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	30
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას „Front-end დეველოპმენტი“ ახორციელებს დაბა ქედა, წერეთლის ქ N4, სადაც შესწავლილი დოკუმენტაციითა და ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლას გამოყოფილი აქვს ფართი/სასწავლო გარემო პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის, სასწავლო გარემო (კომპიუტერული ლაბორატორია) - გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე, სადაც ასევე ხორციელდება მოდულები, რომლებისთვისაც საჭიროა A გარემო. სკოლას გააჩნია ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის ლაბორატორია, სპორტის დარბაზი (ჯამში 30 სტუდენტი). სკოლას აგრეთვე აქვს ქიმიის ელექტრონული ლაბორატორია, რომლის საშუალებითაც სტუდენტები ელექტრობულად ატარებენ ცდებს და დაკვირვებებს ქიმიურ პროცესებზე. პროგრამით გათვალისწინებული მოდულების განხორციელება სასწავლო გეგმის შესაბამამისად ისეა დაგეგმილი, რომ კვირეული დატვირთვა როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით, არ სცდება 40 საათს. ასევე პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შემავალი ინტეგრირებული ზოგადი მოდული, „სპორტი“ მოიცავს კალათბურთისა და ფრენბურთის კომპონენტებს. სკოლის სპორტული დარბაზი და სტადიონი იმგვარდაა მოწყობილი, რომ უზრუნველყოფს აღნიშნული მოდულის განხორციელებას. დაწესებულებაში მოწყობილია და სრულად აღუჭურვილია შესაბამისი სივრცეები პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის, მიმდინარე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი დაწესებულებას გადეცა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილებიდან შესაბამისი მიღება ჩაბარების აქტების საფუძველზე, რომელიც აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლას გადაეცა:

- შესაბამისი ტექნიკური მახასიათებლების მქონე მაგიდები (სამუშაო მაგიდა; მაგიდა: პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა); მაგიდა:პროფესიული სტუდენტის საკლასო სამუშაო ადგილი (მაგიდა))- მიღება-ჩაბარების აქტი N20251217-002 (2025 წლის დეკემბერი);
- შესაბამისი ტექნიკური მახასიათებლების მქონე 16 ცალი ორთოპედიული სავარძელი; მიღება-ჩაბარების აქტი N20251217-001 (2025 წლის დეკემბერი);
- სმარტ დაფა თეთრი სადგარით - მიღება-ჩაბარების აქტი N20260130-001
- შესაბამისი ტექნიკური მახასიათებლების მქონე 16 ცალი პერსონალური კომპიუტერი მიღება ჩაბარების აქტი N20260326-001(2026 წლის მარტი);
- 1 ცალი კარადა (თაროებიანი, ჩამკეტით) მიღება- ჩაბარების აქტი N202512-001 (05.12.2025)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად სკოლას არ ჰყავს პარტნიორი ორგანიზაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.1. - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - დაკმაყოფილებულია;

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიულ საგანანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის განსაზღვრულა 13 განმახორციელებელი პირი, მათ შორის 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი განახორციელებს ზოგად ინტეგრირებულ, ხოლო 2 - პროფესიულ მოდულს. მათი კვირეული დატვირთვა არ სცდება შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ზღვრულ დატვირთვას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, სადაც მეტწილად არის შეფასებული აღნიშნული ინდიკატორი. დაწესებულება გეგმავს მოიძიოს, დაიმატოს და განავითაროს ადამიანური რესურსები, იმისათვის რომ პროგრამის განხორციელებას არ შეექმნას საფრთხე.

ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.2. - პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას დაკმაყოფილებულია;

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

სკოლის დირექტორის 2025 წლის 09 ივლისის N01-03/49 (ცვლილება: 26.06.2026 წლის N01-03/31) ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით, დაწესებულებაში პროფესიული განათლების მასწავლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები, რაც დასტურდება მათ მიერ სკოლაში წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული დარგობრივი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეულნი არიან დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს ნაწილობრივ აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით და მათთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებით და გასაუბრებით. რაც შეეხება ზოგადი ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებს, ისინი არიან სკოლის მოქმედი მასწავლებლები, რომელთა ცოდნა და კომპეტენცია განსახორციელებელი მოდულების მიმართულებით დასტურდება კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. პროფესიული საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის სწავლებისა და შეფასების სპეციფიკის გათვალისწინებით, განმახორციელებელი პირები გავლილი აქვთ გადამზადება პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ დაგეგმილ ტრენინგი „სწავლა-სწავლების მეთოდოლოგია და კომპენტენციებზე დაფუძნებული შეფასება პროფესიულ განათლებაში“,

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.3. - პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია - დაკმაყოფილებულია;

4. **პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის, მქონე ხელმძღვანელი,** რომლის კომპეტენციაც დასტურდება დიპლომით და შესაბამისი გამოცდილება. მისი ფუნქციები ანაზღაურება და სხვა სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება მასთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებითა და სკოლის დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის № 01-03/35 (ცვლილება: 26.06.2026 წლის N01-03/31) ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობებითა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.4. - საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, დაკმაყოფილებულია;

5. დაწესებულებაში არსებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური/ელექტრონული სახით პროფესიული სტუდენტებისათვის. ნაწილი ელექტრონული სასწავლო რესურსი ჩაწერილია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში, რომლის ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა ან ბიბლიოთეკაში დაბეჭდვა განხორციელდება მომხარებლის სურვილის შესაბამისად. ელექტრონული ლიტერატურა ჩაწერილია თითოეული სტუდენტის კომპიუტერში. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი (მატერიალური, ელ. რესურსი) შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინტეგრირებულ მოდულებში მითითებულ ლიტერატურას, ხოლო, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელბლად საკმარისია.

ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.5. - საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში დაკმაყოფილებულია;

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯაროსკოლის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება“ (2025 წლის 13 ივნისის N 01-03/36 ბრძანება) არეგულირებს სასწავლო პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისა და მხარდაჭერის ღონისძიებებს. დებულებაში განსაზღვრულია სსსმ პირებისათვის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცესში ჩართულობისა და ადმინისტრირების პროცედურები. ამასთან, სკოლა აქვს გამოცდილება სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობასა და ადაპტაციასთან დაკავშირებით, სკოლა იძლევა შშმ პირთათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე წვდომის საშუალებას, პროგრამითვის გამოყოფილი გარემო მეორე სართულზე მდებარეობს და დაწესებულებას აქვს მოწყობილი ლიფტი.

ინდიკატორი 2.2.1.6.-ის მოთხოვნა - სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად დაკმაყოფილებულია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

სკოლას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „Front-end დეველოპმენტი“ საპროგნოზო ბიუჯეტი, როგორც ინტეგრირებული, ასევე არაინტეგრირებული მიდგომით განხორციელებული პროგრამის შემთხვევაში. საპროგნოზო ბიუჯეტი შეიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც შემოსავლების სახეობად განსაზღვრულია ვაუჩერული დაფინანსება, ხოლო ხარჯების ნაწილში გაწერილია - პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომითი ანაზღაურების, სასწავლო მასალისა და ნედლეულის, პროგრამული მხარდაჭერის უზრუნველყოფისა და სხვა ხარჯები. საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით პროგრამა მდგრადია, რადგან სავარაუდო ხარჯების ნაწილს ფარავს შემოსავლების ნაწილი.

ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.7.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- გასაუბრების შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

31.07.2026
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: